წალკის პლატოს ახალგაზრდა ვულკანიზმი (მცირე კავკასიონი, საქართველო)

ბექა ედიბერიძე

ელ-ფოსტა: beka.ediberidze400@ens.tsu.edu.ge
გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მისამართი: 0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1

წალკის პლატო მდებარეობს ჯავახეთის ვულკანური ზეგნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ძირითადად მდ. ხრამის ზედა ნაწილს მოიცავს. ჯავახეთის რეგიონის ლავური ნაკადები სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის აღწერილი. თუმცა, ჯავახეთის პლატოს უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად გამოკვლეულ რეგიონად რჩება. მრავალი საკითხი სტრატიგრაფიის თვალსაზრისით კვლავ დაუდგენელია, მათ შორის ზუსტად არ არის დადგენილი ამოფრქვევის ცენტრებისა და ხრამის ნაკადის საწყისი მონაკვეთის მდებარეობა. წალკის პლატოს კომპლექსური კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის გვიანკაინოზოური ვულკანიზმის ისტორიის დაზუსტებაში. შესაძლებელი გახდება აღნიშნული ლავების სტრატიგრაფიული კავშირების გამოკვეთა როგორც ხრამის ნაკადთან, ასევე მიმდებარე რეგიონებში გავრცელებულ სხვა მაგმურ წარმონაქმნებთან.